

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 52

ქ.თბილისი

2016 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 26 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ანტონ ღლონტის მოხსენებითი ბარათი და მატჩის მსაჯების ლ. გიორგაძის, ს. ილურიძის და გ. ჭიტაძის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 16 ოქტომბერს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე გორის „გორდა“-სა და თელავის „ჭადრებს“ შორის მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**


თამაში ჩაიშალა მასპინძელი გუნდის მიერ, სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 26-ე პუნქტის დარღვევის გამო. მატჩის მეთვალყურის ა. ღლონტის ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა გორის „გორდა“-ს მწვრთნელმა მიხეილ ორაგველიძემ, რასაც შემდგომში მოჰყვა მასწავლებლის სათამაშო მოედანზე გადასვლა, მსაჯების მიმართ აგრესიული საქციელი და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.3, 2.1.17 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.3, 1.16 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. კლუბ გორის „გორდა“-ს რეგიონალურ ლიგაში, ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. კლუბ გორის „გორდა“-ს მწვრთნელი მიხეილ ორაგველიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.3, 1.16 პუნქტები და კლუბ გორის „გორდა“-ს, რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/